



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება № 3

ქ. ახალციხე

29 იანვარი 2015 წელი

#### **“ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ”**

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### **მუხლი 1**

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას პირობის გარეშე გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა, თანახმად დანართი 1-ისა.

#### **მუხლი 2**

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა, თანახმად დანართი 2-ისა.

#### **მუხლი 3**

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმა, თანახმად დანართი 3-ისა.

#### **მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



ახალციხის მუნიციპალიტეტი

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი

"\_\_\_\_\_ " \_\_\_\_\_ " 20\_\_წ.  
(რიცხვი თვე წელი)

ქ. ახალციხე

1. ეს ოქმი გაიცა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(აუქციონში გამარჯვებული (მყიდველი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

2. მასზედ, რომ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ და „ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ქონების

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

( ქონების დასახელება მისამართი მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან )

ქონების საწყისი ფასი \_\_\_\_\_ ( \_\_\_\_\_ )  
სიტყვიერად ციფრებით

3. შემდგომში პრივატიზების მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონო კომისიის მიერ 20\_\_ წლის " \_\_\_\_\_ " " \_\_\_\_\_ " მოწყობილ აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის \_  
\_\_\_\_\_ ( \_\_\_\_\_ ) ლარი

სიტყვიერად

ციფრებით

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების

წესების დამტკიცების შესახებ“ და „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

---

---

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები შესაბამის რეესტრიდან/მარეგისტრირებული ორგანოდან, მათ შორის, ინფორმაცია ქონების დატვირთვის თაობაზე) \_\_\_\_\_ შემდგომში ქონება.

4. მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური (საბოლოო თანხა) გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე \_\_\_\_\_

---

---

5. მყიდველს გადახდილი ბე ეთვლება ანგარიშსწორებისას.

6. მყიდველს უფლება არა აქვს საკუთრების დადასტურებამდე განკარგოს, დააგირაოს, იპოთეკით ან/და სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება.

7. თუ მყიდველი დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების საბოლოო თანხას, აუქციონის შედეგები უქმდება, მყიდველს არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი ბე არ დაუბრუნდება.

8. მყიდველის მიერ საბოლოო თანხის დადგენილ ვადაში სრულად გადახდის შემდეგ მასზე გაიცემა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

9. ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

10. ოქმიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

12. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს ამ ოქმს.

13. ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ა) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან:

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია, – მყიდველის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კომისიის თავმჯდომარე / \_\_\_\_\_ / / \_\_\_\_\_ /  
ხელმოწერა სახელი გვარი

აუქციონში გამარჯვებული პირი (მყიდველი) / \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ /  
ხელმოწერა სახელი გვარი

\_\_\_\_\_ ბეჭდის ადგილი



ახალციხის მუნიციპალიტეტი

პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი

"\_\_\_\_\_ " \_\_\_\_\_ " 20\_\_წ.  
(რიცხვი თვე წელი)

ქ. ახალციხე

1. ეს ოქმი გაიცა \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(აუქციონში გამარჯვებული (მყიდველი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

2. მასზედ, რომ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ და „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

(ქონების დასახელება, მისამართი (მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან)

ქონების საწყისი ფასი ----- (------)  
სიტყვიერად ციფრებით

3. შემდგომში პრივატიზების მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის სააუქციონო კომისიის მიერ 201\_\_ წლის „\_\_\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ მოწყობილ აუქციონზე მის მიერ

შემოთავაზებული ფასის \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარი  
სიტყვიერად ციფრებით

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ და „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (შემდგომში ქონება)

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან/მარეგისტრირებული ორგანოდან, მათ შორის, ინფორმაცია ქონების დატვირთვის თაობაზე)

4. მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შექმნილი ქონების საფასური:

\_\_\_\_\_ (ციფრით) (\_\_\_\_\_ (სიტყვიერად) ლარი

გადაიხადოს: \_\_\_\_\_ ვადაში  
(აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში)

შემდეგ საბანკო ანგარიშზე: \_\_\_\_\_

5. მყიდველს გადახდილი ბე ეთვლება ანგარიშსწორებისას.

6. მყიდველი ვალდებულია დაიცვას, დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) \_\_\_\_\_

ბ) \_\_\_\_\_

გ) \_\_\_\_\_

დ) და. ა.შ

7. მყიდველს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად

დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

8. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ოქმის მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ გადაცემული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

9. ოქმით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

10. ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა:

ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში – დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მყიდველის მიერ ოქმის სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ყოველ დარღვევაზე ქონების ღირებულების 0,05%-ს.

11. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ საბოლოო თანხის ამავე აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში გამყიდველის მიერ აუქციონის შედეგი განიხილება გაუქმების საფუძველად და გამარჯვებულ პირს შეტანილი, ბე არ უბრუნდება.

12. ოქმით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველად.

13. ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მყიდველმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მყიდველს საკუთრების უფლება ეძლევა ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

14. მყიდველი ვალდებულია ოქმით ნაკისრი ვალდებულებები საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ აგრეთვე დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

15. ოქმიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

17. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და, სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, ხელს აწერს ამ ოქმს.

18. ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ა) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კომისიის თავმჯდომარე / ----- /-----/

სახელი, გვარი

ხელმოწერა

აუქციონში გამარჯვებული პირი (მყიდველი) /----- / /----- /

სახელი, გვარი

ხელმოწერა

----- ბეჭდის ადგილი





ახალციხის მუნიციპალიტეტი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

-----

ემლევა -----

-----

(მესაკუთრე)

მასზედ, რომ მას საკუთრებაში გადაეცა ----- მიწის ნაკვეთი

(არასასოფლო-სამეურნეო/სასოფლო-სამეურნეო)

ფართობით: ----- კვ.მ/ჰა

და შენობა/ნაგებობა, ფართობით: -----

-----

(შენობა/ნაგებობის ოდენობა და მათი ფართობი)

კვ.მ,

რომელიც მდებარეობს: -----

(ადგილმდებარეობა/მისამართი)

საფუძველი: ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონო კომისიის -----

----- აუქციონის ოქმი

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, მესამე ინახება მოწმობის გამცემ ორგანოში.

გაცემულია 20 წლის -----

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი -----